ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

# გადაწყვეტილება №3457437

ნომერი: AR1530094

თარიღი : 04.08.2017

გაცემის თარიღი : 11.08.2017

გაცნობის თარიღი : 11.08.2017

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , მინდელის ქუჩა N3 ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- კახა მახვილაძე პ/ნ 01009003808
- თბილისი ალ.ყაზბეგის გამზ. N 47 ბ. 9

ორგანიზაცია:
- შპს სამეცნიერო, საპროექტო-ტექნოლოგიური საწარმო ინდუსტრია კოდი: 204887952

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა
- საცხოვრებელი ობიექტები
  - მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი

....ობიექტის ფუნქციური დანიშნულება :

- ....ქმედებები: 1662.0

„საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის

24 მარტის №57 დადგენილების, ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის №4-13 გადაწყვეტილებით დამტკიცებული ქ. თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების, ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 05 ივნისის №6-17 გადაწყვეტილებით დამტკიცებული დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის თანახმად.

## გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი 2017 წლის 4 აგვისტოს N AR1530094 განცხადება, რომლითაც ითხოვთ ქ. ვაკის რაიონში , მინდელის ქ. N 3–ში (საკადასტრო კოდი: #01.14.01.007.302) არსებულ მიწის ნაკვეთზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის აშენების მიზნით ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების მომატებას და მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დამტკიცებას.

პასუხად გაცნობებთ, რომ წარმოდგენილი მიწის ნაკვეთი მომიჯნავე მიწის ნაკვეთთან ერთად წარმოადგენდა ერთიან საკადასტრო ერთეულს, რომლის გამიჯვნაც განხორციელებულია ქალაქთმშენებლობითი თვალსაზრისით შეუსაბამოდ მითუმეტეს, რომ საპროექტო მიწის ნაკვეთს ემიჯნება ჩრდილოეთთ არსებული შენობა–ნაგებობის კედელი, რითაც დაირღვევა არსებული ნაგებობის ღიობებთან მიმართებაში სამეზობლო მიჯნის პრინციპი. ამასთან საპროექტო მიწის ნაკვეთზე დღევანდელი მდგომარეობით ფუნქციონირებს სპორტული სტადიონი, რომლის ჩანაცვლებაც სხვა სახეობის ობიექტის განვითარების პირობით არ არის მიზანშეწონილი.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას დააკმაყოფილოს თქვენი 2017 წლის 4 აგვისტოს N AR1530094 განცხადება.

---

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.